საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ა ს ტ უ დ ე ნ ტ თ ა ნ
(დოქტორანტურა)

№_____

ქ. თბილისი _____/_____/201- წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შემდგომში „უნივერსიტეტი“, მისი რექტორის - არჩილ ფრანგიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მეორე მხრივ, სტუდენტი-დოქტორანტი

_____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

შემდგომში “დოქტორანტად” წოდებული, ხელმძღვანელობენ რა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით და “დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულებით”, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

ხელშეკრულების საგანია დოქტორანტისათვის, მის მიერ არჩეულ სადოქტორო პროგრამაზე, სასწავლო მომსახურების გაწევა, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში.

2. მხარეთა უფლება მოვალეობანი:

2.1. უნივერსიტეტის უფლება მოვალეობანი:

2.1.1. დოქტორანტის მიერ 2.2.1 პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულების შემდეგ ჩათვალოს იგი ჩარიცხულად . . . . . .
ფაკულტეტის . . . . . .
სადოქტორო პროგრამის სწავლების პირველ წელზე.

2.1.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

2.1.3. დოქტორანტი მოამზადოს საერთაშორისო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო კურიკულუმისა და სილაბუსების, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

2.1.4. სადოქტორო პროგრამის სრული კურსის დასრულების შემთხვევაში, დისერტაციის დაცვის შემდეგ, მიანიჭოს დოქტორანტს შესაბამისი კვალიფიკაცია და გადასცეს დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი და დიპლომის დანართი.

2.1.5. დოქტორანტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას აღნიშნული პროგრამის გეგმურ ვადაში და არ ისარგებლებს 2.3.3 პუნქტით განსაზღვრული უფლებით, შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.

2.1.6. წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუჩეროს სტატუსი სტუდენტს ან შეზღუდოს მისი მონაწილეობა სასწავლო პროცესში, რომელიც არ შეასრულებს ამ ხელშეკრულების 2.2.1 ან 2.2.2 პუნქტში გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

2.2. დოქტორანტი ვალდებულია:

2.2.1 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის – 2250 ლარის მინიმუმ 1/2-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო სწავლის საფასურის დარჩენილი ნაწილი გადაიხადოს მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე.

2.2.2. გარდა 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ყოველი სასწავლო წლის (სწავლების I სემესტრის) დაწყებამდე უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს ერთი წლის სწავლის საფასურის _____ ლარის მინიმუმ ერთი მეოთხედი, ერთი მეოთხედი – პირველ დეკემბრამდე, ერთი მეოთხედი – სწავლების მეორე სემესტრის დაწყებამდე, ერთი მეოთხედი – პირველ ივნისამდე.

შენიშვნა: 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი გათავისუფლებულია ამ ხელშეკრულების 2.2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან.

2.2.3. დადგენილ ვადებში შეასრულოს კურიკულუმითა და სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაოები.

2.2.4. დაიცვას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული და უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აქტები.

2.3. დოქტორანტს უფლება აქვს:

2.3.1. F-უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის თანახმად, რამდენჯერმე გაიაროს ერთი და იგივე სასწავლო კურსი ან/და მოამზადოს თემატური

სემინარი, მომდევნო სასწავლო წლების განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური ვადის ამოწურვამდე.
2.3.2. სასწავლო კურსის (საგნის) ხელახლა გავლისათვის, აგრეთვე თემატური სემინარის ხელახლა მომზადებისათვის შესაბამისი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და გადაიხადოს სასწავლო კურსის/კურსების შესაბამისი ღირებულება, რომლის ოდენობა დგინდება სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად.
2.3.3. თუ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ გეგმურ ვადაში ვერ დააგროვებს კრედიტების დადგენილ რაოდენობას, სწავლა გააგრძელოს არა უმეტეს 2 დამატებითი სემესტრის განმავლობაში, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად.;
2.3.4. ისარგებლოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებული მეცადინეობების აუდიო-ვიდეო ჩანაწერები;

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი:

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.
3.2. დოქტორანტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვალდებულია, 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს ამის თაობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დოქტორანტს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.
3.3. უნივერსიტეტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, მასთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, უნივერსიტეტის წესდებასა და შინაგანაწესს.
3.4. სტატუსის შეჩერებისას/შეწყვეტისას დოქტორანტს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.

4. ხელშეკრულების დამატებითი პირობები:

4.1. სტატუსშეჩერებული დოქტორანტისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში წარმოქმნილი ყველა ფინანსური ვალდებულება იგივეა, რაც იმავე ფაკულტეტის, სწავლების იმავე წლის დოქტორანტისათვის, რომელზეც ჩაირიცხა აღდგენისას.
4.2. დოქტორანტი ხელშეკრულების გაფორმებამდე შესაბამის ფაკულტეტზე გაეცნო სტუდენტის უფლება-მოვალეობას, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციას და სხვ.
4.3. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

მხარეთა რეკვიზიტები:

უნივერსიტეტი

სსიპ საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77

საბანკო რეკვიზიტები:

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი

ანგარიში

ბანკის კოდი TRESGE22

მიმღების ანგარიში: სახაზინო კოდი

708977289

საიდენტიფიკაციო №211349192

---------- ა.
ფრანგიშვილი
(ხელმოწერა)

დოქტორანტი

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

(მისამართი)

პირადი № ----------
პირადობის მოწმობის № ----------
გაცემულია ----------
(მიერ)

(თარიღი)

ტელ: ----------

(ხელმოწერა)